

გაეროს ეროვნული სააგენტოს აჭარის პირობათმომხრებელი ორგანიზაციის წევრები

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი - 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდაპოინტის რაიონებში - 30-35, მაღალ მთაში - 25-30 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 29 გრადუსია, ატმოსფერული წნევა - 756 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

კრიკოსი N 10

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიაშვილმა საქართველოში სომხეთის რესპუბლიკის ელჩ რუბენ საღიანთან გამოსამშვიდობებელი შეხვედრა გამართა. საუბარი ორ ქვეყანას შორის კეთილმეზობლურ ურთიერთობებს და სხვადასხვა სფეროში სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებს შეეხო. შეხვედრაზე რეგიონში არსებული ვითარება განიხილეს. ხაზი გაესვა კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების მნიშვნელობას. აღინიშნა, რომ საქართველო ყოველთვის მზად არის, სამშვიდობო პროცესში თავისი წვლილი შეიტანოს. პრემიერმა სომხ დიპლომატს ქვეყნებს შორის ურთიერთობის განვითარებაში გაწეული მასხვებისთვის მადლობა გადაუხადა და სამომავლო საქმიანობაში წარმატებები უსურვა.

პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ხელი მოაწერა განკარგულებას გაეროში საქართველოს მუდმივ წარმომადგენლად დავით ბაქრაძის დანიშნვის შესახებ. ბაქრაძე, რომელიც აქამდე აშშ-ში საქართველოს ელჩის თანამდებობას იკავებდა, გაეროში დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელის პოსტზე კანდიდატის შერჩევის პროცესში მონაწილეობის ადმინისტრაციაში განაცხადს. აქველი ოფიციალური წარდგინება, რაც საქართველოს მთავრობის სახელით შემოვიდა პრეზიდენტთან და ასეთი იყო მისი ინაუგურაციის შემდეგ - 39-ე წარდგინება დაკმაყოფილდა და ქველა დანიშნა შესაბამის თანამდებობაზე.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ილია დარჩიაშვილი ბრალად მიმდინარე ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების არაფორმალური მინისტრიალის ფარგლებში, უკრაინულ კოლეგა დიპლომატებს შეხვდა. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ცნობით, დარჩიაშვილმა კოლეგას კიდევ ერთხელ დაუდასტურა საქართველოს ურყევი მხარდა უკრაინის მიმართ და იმედი გამოთქვა, რომ ომი მალე დასრულდება და ქვეყანაში მშვიდობა და სტაბილურობა დაისადგურებს. მინისტრი უკრაინულ და მოლდოველ კოლეგებთან ერთად, ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარე ქვეყნის - ჩეხეთის მიწვევით, ბრალად, ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების არაფორმალურ, ე.წ. გიმინის შეხვედრაში მონაწილეობდა.

ევროკავშირის 12- პუნქტიანი რეკომენდაციების შესრულების საკითხზე პოზიციების შეჯერების მიზნით საპარლამენტო ოპოზიციის ნაწილმა კონსულტაციები გამართა. შეხვედრაში „ლელოს“, „სტრატეგია აღმაშენებლის“, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები და პარლამენტის ცალკეული დამოუკიდებელი დეპუტატები მონაწილეობდნენ.

მომავლად ია შველიძე

თანამშრომლობის განახლება-გააქტიურებისთვის

2013 წლის 6 ივნისს, პოტსდამში, აჭარის უმაღლეს საბჭოსა და ბრანდენბურგის ლანდტაგს შორის, ურთიერთშეთანხმების მემორანდუმში გაფორმდა, რომელიც თანამშრომლობასთან ერთად, საპარლამენტო, რეგიონული და ფედერალური მმართველობის გამოცდილების გაზიარებასა და ერთობლივი ინიციატივების განხორციელებას ითვალისწინებს.

თანამშრომლობის პოსტპანდემიურ პერიოდში განახლება-გააქტიურების მიზნით, აჭარას ბრანდენბურგის ფედერალური მიწის ლანდტაგის ოფიციალური დელეგაცია ეწვია, რომელსაც ლანდტაგის პრეზიდენტი ულრიკე ლიდტკე ხელმძღვანელობს. ნაკადის დელეგაციის შემადგენლობაში არიან ლანდტაგის დარგობრივი კომიტეტების თავმჯდომარეების მოადგილეები და ბრანდენბურგ-საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარე პავლე შპეტისვილი.

სტუმრებს აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძემ უმასპინძლა. შეხვედრას აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ტიტო არაშიძე, საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე მარინე გვიანიძე, აპარატის უფროსი ზურაბ ჭურკვიძე, საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი ხათუნა ნაყურთი ესწრებოდნენ.

შეხვედრაზე ორი ქვეყნის რეგიონებს შორის



წლების წინ დაწყებული თანამშრომლობის გაღრმავება-ხელშეწყობის საკითხებზე ისაუბრეს. ყურადღება გამახვილდა პეტიციების, მათში მოქალაქეთა ჩართულობის, ევროსტრუქტურებში საქართველოს მხარდაჭერისა და სხვა მნიშვნელოვან თემებზე.

უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარის დავით გაბაიძის განცხადებით, შეხვედრაზე ასევე ისაუბრეს აჭარის საკანონმდებლო ორგანოს, ქვემო სილესიის სემიკისა და ბრანდენბურგის ლანდტაგის ორგანიზებით რეგიონული პარლამენტების კონფერენციის ჩატარებაზე, რომელიც ღია მმართველობის საკითხებს დაეძმობა.

დელეგაციის სახელით, ქალბატონმა ულრიკე ლიდტკემ გულთბადი მასპინძლობისათვის მადლობა გადაუხადა უმაღლესი საბჭოს წევრებს და დავით გაბაიძე ოფიციალურად მიიწვია ბრანდენბურგში.

სტუმრებმა დაათვალიერეს საკანონმდებლო ორგანოს შენობა და სამახსოვრო ჩანაწერი დატოვეს შთაბეჭდილებათა წიგნში.

ანა ჩხიშვიანი

თორნიკე რიჟვაძე ბრანდენბურგის პარლამენტის პრეზიდენტს, დოქტორ ულრიკე ლიდტკეს შეხვდა

თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივებზე, ერთობლივ პროექტებზე, მომავალში განსახორციელებელ გეგმებზე ისაუბრეს აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ და ბრანდენბურგის პარლამენტის პრეზიდენტმა დოქტორმა ულრიკე ლიდტკემ. შეხვედრაზე მხარეებმა აჭარაში არაერთ მნიშვნელოვან პროექტზე გაამახვილეს ყურადღება.

აჭარაში ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი ხორციელდება გერმანიასთან თანამშრომლობით. მათგან აღსანიშნავია წყალარინების სისტემის რეაბილიტაციის პროექტი, რომლითაც აჭარაში მცხოვრები 6000-მდე ოჯახი ისარგებლებს. პროექტი გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით ხორციელდება. მჭიდრო თანამშრომლობა ტურიზმის მიმართულებით. მზარდი ვიზიტების სტატისტიკა გერმანიიდან აჭარის რეგიონში. გრძელდება ერთობლივი პროექტები განათლების სფეროში. აჭარის მთავრობის ხელშეწყობით, ბათუმის საზღვაო აკადემიის 10 სტუდენტს



ნტი ფლენსბურგის უნივერსიტეტში გააგრძელეს სწავლას. შეხვედრას აჭარის მთავრობისა და ბრანდენბურგის პარლამენტის წევრები ესწრებოდნენ.

- ძლიან საინტერესო შეხვედრა იყო. სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის დიდი პერსპექტივა გვაქვს. 25 წელია ჩვენი ურთიერთობა გრძელდება, ამ პერიოდში ვაკვირდებით განვითარებას და ვისურვებთ, რომ ეს განვითარება არ შეჩერებულიყოს, - განაცხადა დოქტორ ულრიკე ლიდტკემ.

შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის ხელმძღვანელი და კულტურის, განათლების და სპორტის კომიტეტის ხელმძღვანელი.

2 მილიონი ლარი - უკრაინის ევროკავშირის კაპიტალიზაციისთვის

2 მილიონი ლარი - უკრაინის ევროკავშირის კაპიტალიზაციისთვის

«საქართველოს სტრატეგიული მოკავშირეების ლანდვა მხოლოდ რუსეთის ინტერესები უნდა»

გამორჩეული გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს. გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენივე ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 577 20 43 55.

გამორჩეული გაზეთი «აჭარა»!





2 მილიონი ლარი – ფარნავაზ მეფის ქუჩის რეაბილიტაციისთვის

ფარნავაზ მეფის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოებს აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე და ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი გაეცნენ. ამ ეტაპზე ასფალტი იგება მელ-იქიშვილისა და ლუკა ასათიანის ქუჩებს შორის არსებულ მონაკვეთებში. პროექტის ფარგლებში მოეწყობა სანიაღვრე სისტემა, რეაბილიტაცია ჩაუტარდება დაზიანებულ ველობლიკებს, ტროტუარებსა და ბორცვებს. რიგ მონაკვეთზე უკვე დაიგო ასფალტის საფარი.

ბათუმის მერის არჩილ ჩიქოვანის განცხადებით, სამუშაოები წინსვრებით მიმდინარეობს, რათა დროულად აღდგეს სატრანსპორტო მოძრაობა.

- ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ქუჩა, რომლის მოწესრიგებაც მოსახლეობის თხოვნის გათვალისწინებით დაიწყო. აღსანიშნავია, რომ წელს ბათუმში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისთვის 100 მილიონზე მეტი ლარია გათვალისწინებული. ფარნავაზ მეფის ქუჩის რეაბილიტაციისთვის 2 მილიონი ლარი



გამოიყო. დაგეგმილია ვახტანგ გორგასლის ქუჩის რეაბილიტაცია, რისთვისაც მილიონ 600 ათას ლარზე მეტი დაიხარჯება, - აცხადებს არჩილ ჩიქოვანი.

სამუშაოებს ბათუმის საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს კონტრაქტორი კომპანია „ბონდი 2009“ აწარმოებს.

ფარნავაზ მეფის ქუჩის სარეაბილიტაციო

ანბა ჩხიკვაძე

თხილის მოსავალი წელს ნაკლებია, თუმცა, ხარისხი – უკეთესი

აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ზაზა შავაძემ მოადგილეებთან ერთად ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში თხილის მიმდებარე დაამუშავებელი საწარმო „აჭარა თხილი“ დაათვალიერა და საწარმოო პროცესს გაეცნო



და, რეგიონისთვის თხილი ერთ-ერთი სტრატეგიული კულტურაა, რომელსაც დიდი პოტენციალი აქვს. ამიტომ სამინისტრო მომდევნო წლებში გააგრძელებს მეთხილე ფერმერების ხელშეწყობას. მეთხილეობის სფეროში დარგის შესაძლებლობების გასაძლიერებლად, აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრმა აღნიშნა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ინვესტირებთან მოლაპარაკებები მიმდინარეობს.

„აჭარა თხილის“ ქარხანა ნედლეულს ფერმერებისგან შეუფერხებლად ღებულობს და სეზონზე 400-500 ტონამდე ნედლეულს გადაამუშავებს. წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია, გარდა ადგილობრივი ბაზრისა, ევროპის ქვეყნებშიც ხდება. ამჟამად საწარმოში 30 ადამიანია დასაქმებული.

მინისტრი ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარასა და წყ. აგროკაში თხილის მოსავლის აღების პროცესსაც დაესწრო.

როგორც ზაზა შავაძემ განაცხა-

ბლად, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 2000-მდე ერთეული ბაღის მობილური შემასხურებელი აპარატი თანადაფინანსების პრინციპით გადასცა ფერმერებს. ქობულეთის მუნიციპალიტეტში მეთხილე ფერმერებს სავსე პირობებში სისტემატურად უტარდებათ აგრარული ექსტენცია.

აჭარაში წელს 6000 ტონამდე თხილის მოსავალს ელოდებიან. ფერმერები ამბობენ, რომ თხილის მოსავალი წელს ნაკლებია, თუმცა, ხარისხი – უკეთესი. მათი თქმით, თხილის ჩაბარების ფასიც დაბალია. აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრმა აღნიშნა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ინვესტირებთან მოლაპარაკებები მიმდინარეობს.

ანბა ჩხიკვაძე

აჭარაში კოლონელი ახალგაზრდები იმყოფებიან

შობიან რამდენიმე 579 25 25 72

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და ქვემო სიღვრიის ოლქის მარშალის ოფისის მიერ, რეგიონებს შორის არსებული თანამშრომლობის ფარგლებში, 2022 წლის აგვისტო-სექტემბერში დაიგეგმა მოსწავლეების გაცვლის ღონისძიება, რომლის ფარგლებშიც 27 აგვისტოდან 3 სექტემბრის ჩათვლით, ქვემო სიღვრიის ქალაქ ვროცლავიდან აჭარაში იმყოფება 10 მოსწავლე, თანმხლებ პირებთან ერთად.



რტის მინისტრი მაია ხაჩიშვილი დახვდნენ. ქვემო სიღვრიის ოლქის მარშალის ოფისსა და აჭარის განათლების სამინისტროს შორის 2019 წლიდან ხორციელდება პოლონელი და

ქართველი ბავშვების გაცვლითი ღონისძიება. ღონისძიების ფარგლებში მხარეები ატარებენ კონკურსს, რომლის შედეგადაც შერჩეული მოსწავლეები მიემგზავრებიან პოლონეთში და პოლონეთიდანაც მოდიან ახალგაზრდები ჩვენს ქვეყანაში. უკვე მესამედ ჩამოვიდნენ აჭარაში და ასევე, ჩვენც მესამედ მიემგზავრებიან. მხოლოდ მარშალ ვერ მოხერხდა ვიზიტის დაგეგმვა, რადგან კორონავირუსის პანდემიამ ამაში ხელი შეგვიშალა. ეს ვიზიტი ერთი კვირა გრძელდება. სადაც საჭიროა და რისი დათვალიერებაც შეიძლება, ყველგან მივდივართ. გვეგვავთ იმერეთში გავსვლასაც, სამ რიცხვში კი ქუთისის აეროპორტიდან გაემგზავრებიან სტუმრები, - განაცხადა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს განათლების დეპარტამენტის უფროსმა სპეციალისტმა მაკა ჯაიანმა.

„ეს პროგრამა მნიშვნელოვანია არსებული სტიმულის დასამსხვრევად“

სოციალურ საწარმოში - „ადამიანები მოქმედებენ“, დასაქმების სააგენტო ახორციელებს პროგრამას „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პროფესიული გადამზადებისა და დასაქმების ხელშეწყობა“, რომელშიც წელს 8 ბენეფიციარია ჩართული. საწარმოში პროგრამის მიმდინარეობას აჭარის ჯანდაცვის მინისტრი ნინო ნიუარაძე, მოადგილესთან ზურაბ თენიეშვილთან და დასაქმების სააგენტოს ხელმძღვანელთან თემურ კახიძესთან ერთად გაეცნო. აქ კონდიტერიის სწავლების კურსს 3 ბენეფიციარი გადის. პროგრამის მიზანია შუშ პირების პროფესიული და პრაქტიკული უნარების განვითარება მათი დასაქმების ხელშეწყობის მიზნით. იგი ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუნდებულ სწავლებას. პროგრამის მთავარი უპირატესობა არის ის, რომ თითოეული ბენეფიციარისათვის შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და პრო-

გრამა. ამასთან, კომპანიების შერჩევას, უპირატესობა ენიჭება იმას, ვისაც რეალურად აქვს ვაკანსია და შესაძლებლობა, დაასაქმოს შუშ პირი, - აღნიშნა თემურ კახიძემ. პროგრამა 2017 წლიდან ხორციელდება. მოსარგებლე გადის თეორიული (არანაკლებ 200 საათი) და პრაქტიკული (არანაკლებ 120 საათი) სწავლების კურსს. - ამ პროგრამამ ხელი შეუწყო ჩვენი ბენეფიციარების საზოგადოებაში რეინტეგრაციას და რესოციალიზაციას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, პირველ რიგში, არსებული სტიმულის დასამსხვრევად, ასევე ხელს უწყობს მათ აქტიურ საქმიანობას საზოგადოებაში, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებას, - აღნიშნა შეხვედრაზე „ბათუმის სამედიცინო ცენტრის“ კლინიკურმა მენეჯერმა სოსო ჯახიამ. სწორედ ეს ცენტრი არის სა-

წარმოს - „ადამიანები მოქმედებენ“ მხარდაჭერი და პარტნიორი. პროგრამით მოსარგებლე, ახლა უკვე სოციალურ საწარმოში დასაქმებული ნანი ჯახიძე ამბობს, რომ ემადლიერება მენტორს, რომელმაც შეასწავლა პროფესია. „უკვე მეოთხე წელია საწარმოში დავსაქმდი და კმაყოფილი ვარ, რომ ყოველდღიურად ვაკეთებ იმას, რაც ძალიან მსახარებს,“ - აღნიშნა ქალბატონმა ნანამ. პროგრამის ფარგლებში სწავლებას გადიან ერთი ელექტროოსი და ერთი ფორტოფისის აგენტო - სესტუმერი „ბილტონში“, ფრჩხილის მკვლელობის სპეციალისტი - სილამაზის სალონ „NG სთაილში“, ერთიც ვებ ტექნოლოგიასა და სოციალურ მედიას შპს „კიბერ აკადემიაში“ შეისწავლის.

ანბა ჩხიკვაძე

„GI/სოციალური პროექტების გამოყენა“ - ბათუმი

ნანა აბულაძე 577 20 35 90

„საერთაშორისო ბიზნესის განვითარებისა და ინვესტიციების ხელშეწყობის ცენტრის“ (IBDIPC) ორგანიზებით 18-27 აგვისტოს „GI/ადგილწარმოების პროექტების გამოყენა“ ჩატარდა, რომლის მიზანი გეოგრაფიული აღნიშვნების, ადგილწარმოების პროექტების პოპულარიზაცია და ადგილობრივი მწარმოებლების წარმოჩენაა. გამოყენაზე წარმოდგენილი იყო ადგილობრივი ღვინის მარნები, სოფლის მეურნეობის პროდუქტები, ხელნაკეთი, ტრადიციული რეწვის ნივთების მწარმოებლები.



აქვე განთავსებული იყო საგამოყენო მანქანა, სადაც წარმოდგენილი იყო პროდუქციის ნიმუშები და საინფორმაციო ბროშურები. ვიზიტორებს ადგილობრივი წარმოების ნატურალური პროდუქტებისა და ხელნაკეთი ნივთების შეძენის შესაძლებლობაც შეჰინდათ.

- ათდღიანი გამოყენა მოიცავდა როგორც აჭარის, ისე გურიის რეგიონს. 7 დღის განმავლობაში გამოყენა ტარდებოდა ბათუმის ბულვარში (ანბანის კოშკთან), ხოლო დანარჩენი პერიოდი - ურეკში (ბულვარის ცენტრალური შესასვლელი). გურიის რეგიონში პარტნიორ ორგანიზაციას წარმოადგენდა „ქალები - ქალებისთვის“, ხოლო აჭარაში - „აჭარის ტურიზმის ინდუსტრიის ფედერაცია“, შესაბამისად, გამოყენაში მონაწილეობდნენ მათი ბენეფიციარი მეწარმეები და აჭარა-გურიაში მოქმედი სხვადასხვა მცირე მეწარმეები. მსგავსი გამოყენები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადგილობრივი წარმოების პოპულარიზაციის და მცირე მეწარმეების ხელშეწყობის კუთხით, რამდენადაც მათ საშუალება ეძლევათ, გააცნონ ნაწარმი როგორც ადგილობრივ მომხმარებელს, ისე ტურისტებს და, რაც მთავარია, გაყიდონ პროდუქტი. ტურისტული ლოკაციები კი (როგორცაა ბათუმი და ურეკი) ძალიან კარგი შესაძლებლობა ამისთვის, - განაცხადა ორგანიზაცია „საერთაშორისო ბიზნესის განვითარებისა და ინვესტიციების ხელშეწყობის ცენტრის“ თავმჯდომარე ზვიად ელიზანმა.

ორგანიზაცია IBDIPC-ი, პარტნიორებთან ერთად, გეგმავს აჭარის რეგიონში მსგავსი გამოყენების ორგანიზებას სამომავლოდაც. აღსანიშნავია, რომ გამოყენა ჩატარდა საერთაშორისო პროექტის „შავი ზღვის გეოგრაფიული აღნიშვნების ქსელი“ (BS GIN - BSB 1191) ფარგლებში. პროექტის პარტნიორები არიან „აღმოსავლეთ შავი ზღვის განვითარების სააგენტო (DOKA)“ (თურქეთი), ორგანიზაცია „TERNOPOL“ (რუმინეთი) და „საერთაშორისო ბიზნესის განვითარებისა და ინვესტიციების ხელშეწყობის ცენტრი“ - IBDIPC (საქართველო). პროექტი ხორციელდება ევროკავშირის ENI შავი ზღვის აუზის თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში. ფესტივალის პარტნიორები არიან: აჭარის ტურიზმის ინდუსტრიის ფედერაცია (TIFA), ორგანიზაცია „ქალები - ქალებისთვის“ და ბათუმის ბულვარი.

საპარლამენტო უმრავლესობა სახალხო დამცველის კანდიდატურას არ წარადგენს

ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მამუკა მდინარაძემ გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, რომ ომბუდსმენის წარდგენის საკითხს მთლიანად მიანდობენ ოპოზიციურ სუბიექტებს და სამოქალაქო სექტორს, გარდა იმ ერთადერთი შემთხვევისა, როდესაც შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს პროცესის ხელშეწყობის დახმარებას, საბოლოო ოპოზიციური სუბიექტების მხრიდან კანდიდატურის შეგნებულად არ წარდგენის გზით

საზოგადოებისთვის კიდევ უფრო ნათელი რომ იყოს, მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ოპოზიციური სუბიექტები პირს შეკრავენ და არცერთ კანდიდატურას არ წარადგენენ, იმითომ, რომ პროცესი დაიბლოკოს, რეკომენდაციების მე-12 პუნქტი არ შესრულდეს და ვერ მოხდეს არჩევა, ანუ ეს თუ მოხდება ხელოვანურად, მხოლოდ ამ შემთხვევაში დაეცემა წარდგენის უფლებას. სხვა შემთხვევაში ჩვენ ამ პროცესში კანდიდატურის წარდგენის გზით არ ჩავერთვებით. ოპოზიციასთან და სამოქალაქო სექტორთან დისკუსიები ჩვენ ვაპირებდით, რომ ამ ცვლილებებთან ერთად დღესვე დავერეგისტრირებინა მუდმივი ნორმა საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ომბუდსმენის არჩევის კენჭისყრის ღიაობასთან დაკავშირებით. თუმცა, როგორც ჩანს, ჩვენ დავგასწრო ლევან იოსელიანმა. აქვე შემიძლია გითხრა, რომ საპარლამენტო უმრავლესობა, „ქართული ოცნების“ ფრაქცია მხარს დაუჭერს ამ გადაწყვეტილებას. უფრო მეტიც, დღეს სამოქალაქო სექტორთან იყო მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ ზოგადად, როდესაც თანამდებობზე არჩევიან კონკრეტული ინსტიტუტის ხელმძღვანელები და სხვადასხვა თანამდებობის პირები, იქაც, რამდენიმე შემთხვევაში, მაგალითად, პარლამენტის თავმჯდომარესთან დაკავშირებით და ა.შ. არის ფარული კენჭისყრა. ამაზე ჩვენ დღეს გადაწყვეტილება არ მივიღოთ. გადაწყვეტილება მივიღეთ მხოლოდ იმაზე, რომ მხარს დავუჭიროთ ამ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით ღიაობას და ასევე, ომბუდსმენის არჩევის საკითხთან დაკავშირებით. სხვა, დანარჩენ თანამდებობის პირებთან მიმართებით ჩვენ დამატებით ვიმსჯელებთ და თუ იქნება არგუმენტები წარმოდგენილი, შესაძლოა, კენჭისყრის ღიაობაზე ვიმსჯელოთ, - განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის თქმით, მიიღეს გადაწყვეტილება და დაუყოვნებლივ დაარეგისტრირებენ ცვლილებას საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში, რომლის თანახმადაც გაიწვევება სახალხო დამცველის კანდიდატურის შეფასების ზოგადი კრიტერიუმები. შედეგად, ნებისმიერ პირს შეეძლება განაცხადის შეტანა სახალხო დამცველის კანდიდატობაზე და მათ შემდეგ პროფესიონალებისგან დაკომპლექტებული ჯგუფი შეფასებს.

ცნობილია, რომ ევროკავშირის მე-12 რეკომენდაცია შეეხებოდა და შეეხება სახალხო დამცველის არჩევის წესს. რეკომენდაციაში წერია: „უზრუნველყოფილი იქნას, რომ სახალხო დამცველის ნომინირების პროცესში უპირატესობა მიენიჭოს დამოუკიდებელ პიროვნებს და პროცესი უნდა წარმართოს გამჭვირვალედ, დაკუთვნილი იყოს აპარატის ეფექტიანი ინსტიტუციური დამოუკიდებლობა“. ამასთან დაკავშირებით, ჩვენი დაპირება იყო და გახსოვთ ალბათ, ჩვენი პარტიის თავმჯდომარის ბრიფინგი, რომ საპარლამენტო უმრავლესობა საპარლამენტო ოპოზიციას 1-ლ სექტემბრამდე შესთავაზებს სახალხო დამცველის კანდიდატურების შერჩევის

ინკლუზიურ პროცედურას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სახალხო დამცველის პოზიციაზე იმგვარი კანდიდატის წარდგენა, რომელიც იქნება თანაბრად მისაღები უმრავლესობის და ოპოზიციისათვის, შესაბამისად, ექნება მაღალი ლეგიტიმაცია. კენჭისყრა სახალხო დამცველის შესარჩევად შედგება არაუგვიანეს პირველი დეკემბრისა. როგორც მოგეხსენებათ, ჩვენ შევხვდით დღეს და გუშინ საპარლამენტო ოპოზიციის და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს და მათი პოზიციის გათვალისწინებით მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ დღესვე დავარეგისტრირებთ ცვლილებას საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში, რომლის მიხედვითაც, ერთი მხრივ, გაიწვევება კანდიდატის შეფასების ზოგადი კრიტერიუმები, რაც გულისხმობს კეთილსინდისიერებას, მიუკერძოებლობას, მაღალ



რეპუტაციას, სათანადო პროფესიულ ცოდნას და ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლების სფეროში პრაქტიკულ გამოცდილებას. ხოლო მეორე მხრივ, შეიქმნება საფუძველი, რომ პარლამენტის თავმჯდომარემ გამოსცეს საგანგებო ბრძანება, სადაც განისაზღვრება კანდიდატების შეფასების წესი. ჩვენ ეს საკითხი შევთანხმებთ პარლამენტის თავმჯდომარესთან და წინასწარვე შეგვიძლია გითხრა შეფასების წესთან დაკავშირებით. პირველი, ზოგადად, ნებისმიერ პირს შეეძლება შემოიტანოს განაცხადი სახალხო დამცველის კანდიდატობაზე. მეორე, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისგან, მათ შორის იქნებიან პროფესიული და აკადემიური წრეების წარმომადგენლები, დაკომპლექტებული ჯგუფი შეფასებს თითოეულ კანდიდატს რეგლამენტში გაწერილი კრიტერიუმების მიხედვით. ამის შემდეგ, კანდიდატურები თავიანთი შეფასებებით წარედგინება საპარლამენტო სუბიექტებს, რომლებმაც თავის მხრივ პარლამენტს ასარჩევად უნდა წარმოუდგინოს სახალხო დამცველობის მინიმუმ 7 კანდიდატურა. მაქსიმალური რაოდენობა განსაზღვრული არ იქნება, - განაცხადა მდინარაძემ.

როგორც ცნობილია, ახალი სახალხო დამცველის დანიშნავსთან დაკავშირებული საკითხი ევროკომისიის ერთ-ერთ რეკომენდაციას წარმოადგენს. ამ მიზნით, საქართველოს პარლამენტში მმართველმა გუნდმა ამ დღეებში შეხვედრები გამართა ჯერ საპარლამენტო პოლიტიკური სუბიექტების ნაწილთან, რომელშიც „გირჩის“, „ევროპელი სოციალისტების“, „მოქალაქეების“ და პარტია „საქართველოსთვის“ წევრები მონაწილეობდნენ,

გუშინ კი, გუნდის გადაწყვეტილების გამოცხადებამდე - მესამე სექტორის წარმომადგენლებთან.

შეგახსენებთ, როგორი იყო ომბუდსმენის არჩევის საკითხზე პოლიტიკური სუბიექტების მოსაზრებები.

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მამუკა მდინარაძემ ორი დღის წინ პოლიტიკური სუბიექტებთან გამართული შეხვედრის შემდეგ განაცხადა, შეხვედრის მონაწილე ოპოზიციის ნაწილში აზრთა სხვადასხვაობა იყო, თუმცა იყო მოთხოვნა სახალხო დამცველის არჩევის პროცესის ინკლუზიურობის და არასამთავრობო ორგანიზაციების მაქსიმალური მონაწილეობის თაობაზე. მისივე თქმით, ოპოზიციის დიდი ნაწილი ამბობდა იმასაც, რომ რეგლამენტის შესაბამისად, წარმდგენი უნდა იყოს პოლიტიკური სუბიექტი - ფრაქცია ან



პოზიცია გახლდათ რაც შეიძლება მაღალი ხარისხის კონსენსუსის მიღწევა.

„თუ საჯარო დისკუსიები გაიმართება და ყველასთვის გასაგები იქნება, ვინ რა პოზიციებზე დგას, მაშინ ჩვენ მინიმუმ დავაკმაყოფილებთ გამჭვირვალობის კრიტერიუმს და თუ მერე ამას სათანადო კონსენსუსი მოჰყვება, მაშინ ეს არჩევანიც იქნება საკმაოდ ლეგიტიმური“, - აღნიშნა „გირჩის“ წარმომადგენელმა ალექსანდრე რაქვიაშვილმა.

„სახალხო დამცველის თანამდებობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია და ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ თანამდებობაზე უნდა იყოს პირი, რომელიც მისაღები იქნება ყველა პოლიტიკური პარტიისთვის, თუ საზოგადოების სხვადასხვა ფენისთვის“, - განაცხადა „ევროპელი სოციალისტების“ წარმომადგენელმა ფრიდონ ინჯიამ.

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ სარჯველაძის განცხადებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინკლუზიურობის ხარისხი, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია არჩევანის მრავალფეროვნება, რაც ამ პროცესში უნდა უზრუნველყოს.

„გარკვეული ხედვა გვაქვს პროცედურების თაობაზე. რაც შეეხება სამ ოპოზიციურ პარტიას, ინფორმაცია გვექონდა, რომ ისინი შეხვედრას დაესწრებოდნენ, მაგრამ როგორც ჩანს, გადაწყვეტილება შეიცვალა. მათი გადაწყვეტილება ცუდად გამოჩნდა, რადგან გრძელდება დესტრუქციული დამოკიდებულება ისეთ საკითხებზე, რაზეც არ შეიძლება ადამიანებს დესტრუქციული დამოკიდებულება ჰქონდეთ. ევროპული რეკომენდაციების შესრულებაზე ვმუშაობთ და ეს ადამიანები ამბობენ, რომ ისინი არიან ექსკლუზიურად უფლებამოსილი, ისაუბრონ ევროპაზე. ამ ყველაფერს აკეთებენ ევროპული რეკომენდაციის დარღვევის გზით. ევროპული რეკომენდაცია გულისხმობს იმას, რომ პროცესი უნდა იყოს ინკლუზიური, მათ შორის პოლიტიკოსებისგან ინკლუზიური და ამ პროცესისგან გათიშვა და ზურგის შექცევა არის აბსოლუტურად დესტრუქციული. არ შეიძლება, ამას მოეძებნოს არგუმენტი, რითაც შეიძლება აიხსნას მათი პოზიციები“, - განაცხადა ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე.

მმართველი გუნდის წარმომადგენლები აღნიშნულ საკითხზე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გუშინ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვედნენ და მათი პოზიციებიც მოისმინეს. „ქართული ოცნებას“ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მხრიდან დაყენებულ არც ერთ საკითხზე საწინააღმდეგო პოზიცია არ ჰქონია.

ცნობისათვის: სახალხო დამცველის არჩევისთვის აუცილებელია 90 დეპუტატის მხარდაჭერა.

„ღირსეული პარტნიორი 2022“

მრავალეროვნული სწავლება „ღირსეული პარტნიორი 2022“ გაზიარებულია, IV კვირით ბრიფინგის სამუშაო მოდულზე ოფიციალურად გაიხსნა. სწავლებაში მონაწილე საქართველოს, აშშ-ის, ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნების სამხედრო მოსამსახურეებს საერთაშორისო წვრთნების დაწყება თავდაცვის ძალების მეთაურმა, გენერალ-მაიორმა გიორგი მათიაშვილმა მიულოცა და სიტყვით გამოსვლისას პარტნიორებთან თანამშრომლობასა და

რეგიონში სტაბილური გარემოს უზრუნველყოფის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება. საერთაშორისო სწავლების განხილვის ცერემონიალს თავდაცვის უწყების წარმომადგენლები, სწავლებაში მონაწილე ქვეყნების თავდაცვის ატაშეები, ასევე ნატოს ძირითადი ჯგუფის, ნატოს სამეკავშირეო ოფისისა და ევროკავშირის მონიტორინგის მისიის წარმომადგენლები დაესწრნენ. საქართველო მრავალეროვნულ

სამხედრო სწავლებას „ღირსეული პარტნიორი 2022“ უკვე მეექვსედ მასპინძლობს. საერთაშორისო წვრთნებს საქართველოს თავდაცვის ძალების აღმოსავლეთის სარდლობა და ევროპასა და აფრიკაში აშშ-ის სარდლობა ხელმძღვანელობს, ხოლო მხარდაჭერას წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის წვრთნებისა და შეფასების ერთობლივი ცენტრი ახორციელებს. „ღირსეული პარტნიორი 2022“-ის მიზანია საქართველოს, აშშ-ს, რეგი-

ონულ პარტნიორებსა და მოკავშირე ქვეყნებს შორის მზადყოფნისა და ურთიერთთავსებადობის გაზრდა შავი ზღვის რეგიონში სტაბილური და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფისთვის. სწავლების ისტორიაში წელს პირველად მიიღებენ მონაწილეობას იაპონიისა და შედეთის შეიარაღებული ძალების საერთაშორისო ცენტრის (SWEDINT) წარმომადგენლები. მრავალეროვნულ სწავლებაში 2400-ზე მეტი სამხედრო ჩართული. წლევანდელი მრავალეროვნული წვრთნების მონაწილეები არი-

ან: საქართველო, აშშ, ბულგარეთი, რუმინეთი, მოლდოვა, საბერძნეთი, დიდი ბრიტანეთი, თურქეთი, სლოვაკეთი, ნორვეგია, უნგრეთი, ლიეტუვა, აზერბაიჯანი, გერმანია, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ესტონეთი, პოლონეთი, იაპონია, ლიეტუვა-პოლონეთი-უკრაინის მრავალეროვნული ბრიგადა და შედეთის შეიარაღებული ძალების საერთაშორისო ცენტრი.



ხიხანელთა სამსახურში გატარებული წლები

ოთხარ ცხნარობი 599 85 21 14

22 წელი იმუშავა ასლან მიქიალაძემ ხიხანელთა სამსახურში ალმასკომის თავმჯდომარის თანამდებობაზე. თემში შემავალი ისტორიული სოფლების ისტორიაში ეს პერიოდი აღმშენებლობის, სიხანელთა ძიების, ახალი წამოწყებების წლებად ითვლება. თაობებს საამაოდ ექნებათ, რომ მაშინ დაედო საფუძველი სახალხო დღესასწაულ «ტბელობას». ხიხანელთა სამსახურის მოსწავლეებმა მეგობრული ურთიერთობები დაამყარეს უკრაინის რესპუბლიკის ქალაქ იჟევსკის თანატოლებთან. ერთ დროს მიუვალ ტერიტორიებზე საავტომობილო გზები გაიყვანეს, საშუალო სკოლები გაიხსნა ზედა და ქვემო თხილვანაში. იხიემეს სხალთა-ხიხანის ხეობაში ქართული სკოლის აღდგენის 60, 70 წლის იუბილეები, ხულოში წამოიწყეს «დღის დღე». ამ და კიდევ მრავალ ღონისძიებ-



რჩევებს ავტონომებსაც აძლევდა, რაც მის განსწავლულობაზე მიაწვდიდა. მან ხიხანელთა სამსახურის სკოლა 1949 წელს დაამთავრა. მისი თან-

მაწვალთელი მიხეილ ზოიძე მალე საუკუნეს უკან მოიტოვებს. ის იმ წლებში სწავლობდა ხიხანელთა სამსახურის სკოლაში, როცა ასლანი ამ სასწავლო კერის მოსწავლე იყო.

- შესანიშნავი, პროფესიონალი და მოსწავლეებზე შეყვარებული პედაგოგები გვასწავლიდნენ. სერგო ჯაიანი სკოლის დირექტორი იყო. რევაზ გორგაძე, შემდგომში ცნობილი ჟურნალისტი და პუბლიცისტი, ავრავინა ჩავლიევილი, ქეთო სვანიძე, ნინა პავლოვა, გიორგი კოსტავა, გიორგი კვაჭაძე, მიხეილ ზაქარაძე, დურსუნ გაბაიძე, ხასან სირაბიძე ენერჯის არ იმერებდნენ, რომ შესაფერისი განათლება მიგვეცა. ჩვენი ურთიერთობები მაშინაც გრძელდებოდა, როცა ის მშობლიურ სხალთა-ხიხანის ხეობაში მუშაობდა, ხოლო მე უშახვევის რაიონის ცალკეულ სტრუქტურებში ვსაქმიანობდი. ასლანს მოდუნებულს ვერ ნახავდით. იუმორიც მომადლებული ჰქონდა. სოფლების დაცარიელების

განას სამეფლო ორგანიზებულ მუშაობას უპირისპირებდა.

ხიხანი, მურეშანი (მტკვარი), სამთავისი, ჯავახეთის ზეგანი, გარე კახეთი ის ტერიტორიები იყო, სადაც ხიხანელთა სამსახურის რაიონის სოფელ სამწერისში გადასულმა შესანიშნავი ცხოვრება მოიწვეს, ანსამბლი «ხიხანი» ჩამოაყალიბეს და «ტბელობის» სახალხო დღესასწაულზე თავისი სიმღერებით მონაწილეობას გული გაუთბეს. წუთისოფელში ასლანი აღარაა, მაგრამ 80 წელს მიტანებული, ანსამბლის ჩამოყალიბების ინიციატორი და სამხატვრო ხელმძღვანელი შურა ხალვაში ამ პერიოდებს ასე იხსენებს: «დღესასწაულის თარიღს რომ დათქვამდნენ, ბატონი ასლანი ერთი კვირით ადრე გვატყუებინებდა. ბავშვით უხაროდა, როცა ანსამბლი ხიხანელთაში ჩამოყალიბდა. ის მარტო ხეობის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე, მოსახლეობის კეთილდღეობაზე როდი ზრუნავდა, მისთვის ასევე მთავარი იყო ხეობის ისტორიული წარსულის გამოცოცხლება, კულტურის, ეთნოგრაფიის წარმოჩენა. მას მეგობრული, საქმიანი ურთიერთობები ჰქონდა ხიხანელ ფოლკლორის, ჯორჯოგრაფიის ისეთ ოსტატებთან, როგორებიც თოფუზ გაბაიძე, ენვერ ხალვაში იყვნენ».

ასლანს ხულოში წარმომადგენელი და ნოვატორი პედაგოგის სახელი ჰქონდა. ინიციატივიან ახალგაზრდას ერთ ხანს ბაკოელებმა სოფლის ხელმძღვანელობაც ანდეს. იმ პერიოდში სელიმ ხიმშიაშვილის როლი აჭარის და ქვეყნის ისტორიაში სათანადოდ არ იყო წარმოჩენილი. ღირსეული მამულიშვილის დეაწლის დაფასებაში საპატიო წვლილი შეიტანა მაშინ ახალგაზრდა, შემდგომში ცნობილი ისტორიკოსმა აბელ სურგულაძემ წიგნით: «სელიმ ხიმშიაშვილი». ასლანს თანასოფლელ სერგო დუმბაძესთან ერთად გაუჩნდა იდეა, რომ სერიყანაში სელიმის ბიუსტი ან მემორიალი დაედგათ.

ასლანი თანახმობლებს მარტო საჯარო სამსახურით არ ახსოვთ. ის იმ თაობის ხიხანელთა წარმომადგენელია, რომლებმაც უმაღლესი პედაგოგიური განათლების მიღების შემდეგ, ადგილობრივების აღზრდის საპატიო საქმე თავსეს. 1954 წლიდან ქიშიაბიოლოგიას ასწავლიდა ჯერ ხიხანის, შემდეგ თხილვანის საშუალო სკოლაში.

ბაში 10-მდე სოფლის წარმომადგენლობითი ორგანოს ხელმძღვანელი აქტიურად იყო ჩართული.

- ბატონი ასლანი და მე ისტორიულ სოფელ ბაკოს მკვიდრები ვართ. მის ცხოვრებისეულ ნაბიჯებს, სამსახურებრივ კარიერას აქტიურად ვაკვირდებოდი, ვბაძავდი კიდევ. ადამიანებთან ურთიერთობის საკუთარი ხელწერა ჰქონდა, თაობების დამკავალიანებელი, კარგი მეოჯახე ვახლდით. მისთვის სხვისი საქმე პირადულზე მაღლა იდგა. სპეციალობით ქიშიაბიოლოგიის მასწავლებელი იყო. ხშირად

კლასელები იყვნენ თოფუზ ბერიძე, მეჩერ გაბაიძე, მუსტაფ მახარაძე, მუხამედ, ხასია სურმანიძეები, ერეკლე ჯიბლაძე, ახმედ გაბაიძე, რომლებმაც კეთილსინდისიერი საქმიანობით თავისი კეთილი კვალი დატოვეს, - იხსენებს პროფესორი სერგო დუმბაძე.

ხულოს მუნიციპალიტეტში პირველი საშუალო სკოლა ღორჯომში გაიხსნა, მეორე ხიხანის იყო. სხალთა-ხიხანელ მოსწავლეებთან ერთად, აქ იღებდნენ საშუალო განათლებას მარეთის ხეობის, ზამლეთის სასოფლო საბჭოს სოფლების ბავშვები.

სადრთხე პირველად მან იწინასწარმეტყველა, რის წინაშეც ახლა დავდებით, - გვითხრა მიხეილ ზოიძემ.

ხიხანის იზოლაცია სურმანიძე, ფუმრუკაულში - ზურაბ ბერიძე (მაშინ თხილვანის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლები ხიხანის თემში შედიოდა) ის პიროვნებები იყვნენ, რომელთა მხრებზე ვადავიდა სხალთის ხეობის ტრავედა და მის შემდგომ განვითარებული მოვლენები. სტიქიის შემოტევის, ჭარბი შრომითი რესურსის ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში გაყ-

ასლანი თანახმობლებს მარტო საჯარო სამსახურით არ ახსოვთ. ის იმ თაობის ხიხანელთა წარმომადგენელია, რომლებმაც უმაღლესი პედაგოგიური განათლების მიღების შემდეგ, ადგილობრივების აღზრდის საპატიო საქმე თავსეს. 1954 წლიდან ქიშიაბიოლოგიას ასწავლიდა ჯერ ხიხანის, შემდეგ თხილვანის საშუალო სკოლაში.

ასლანს ხულოში წარმომადგენელი და ნოვატორი პედაგოგის სახელი ჰქონდა. ინიციატივიან ახალგაზრდას ერთ ხანს ბაკოელებმა სოფლის ხელმ-

კლუბი „ამირანი“ აგარტლას ყინვაურში ახალი საბავშვო ბაღი აშენდება

ცოტხე ცხნარობი 27 48 93

რამდენიმე წელია, შუახევის მუნიციპალიტეტში 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში გმირულად დაღუპული ბარათაული ამირან მამალაძის სახელობის შოტოკან კარატეს კლუბი „ამირანი“ მოქმედებს. ბათუმში ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირ „ოპენ ბათუმზე“, რომელშიც ქართველებთან ერთად აზერბაიჯანელი, სომეხი და თურქი კარატისტები ასპარეზობდნენ, 16 წლამდე კარატისტებს შორის ზურა და ნიკოლოზ თავდგირე

რე ადგილი ერგო გუნდის ხელმძღვანელს, ვეტერან კარატისტ გიორგი ტარიელაძესაც.

ამ ტურნირამდე გამართულ აჭარის ჩემპიონატზე სპორტო ადგილი დაისაკუთრა კლუბ „ამირანის“ წევრმა ლევან დავითაძემ.

- ჩვენი კლუბის წევრებს საქმიანი ურთიერთობები აქვთ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებთან მამუკა ყურაშვილსა და ინგა შეროზიასთან. ისინი წარმატებული სპორტსმენების სემინარების აქტიური მსმენელები არიან - პრაქტიკასთან ერთად თეორიასაც ეუფლებიან, -

თამაზ მზნაზიძე 27 48 93

სხალთის ხეობაში ყინვაური (სხალთა) საკმაოდ გრძელ დასახლებად რჩება. აჭარის შვილების განკარგულებაშია საჯარო სკოლის თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი შენობა, მოქმედი ბავშვბაღი კი შეუფერებელ შენობაშია განთავსებული. ხულოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის ინიციატივით მალე ახალი ბავშვბაღი აიგება. სკოლამდელი დაწესებულება 50 ალსაზრდელს მოემსახურება, მოეწყობა საძინებელი და სათამაშო ოთახები, სამზარეულო და ეზო, ბაღის შენობა ადაპტირებული იქნება განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირთათვის.

პროექტის ღირებულება 982 759 ლარია. მშენებლობა მიმდინარე წელს დაიწყება და 2023 წელს დასრულდება.



რიძებმა მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს. შუახეველთაგან მეო-

გვითხრა კლუბ „ამირანის“ პრეზიდენტმა გიორგი ტარიელაძემ.



ევროკავშირის საბარო საქმეთა მინისტრებმა კოლიტიკურ კონსენსუსს მიაღწიეს

პრალაში ორდღიანი არაფორმალური შეხვედრის შემდეგ, ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ევროგაერთიანებასა და რუსეთის შორის სავიზო რეჟიმის გამარტივების შეთანხმების სრულად შეჩერების შესახებ პოლიტიკურ კონსენსუსს მიაღწიეს.

ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ჯოზეფ ბორელმა შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ეს გადაწყვეტილება მნიშვნელოვნად შეამცირებს ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ გაცემულ ახალი ვიზების რაოდენობას, რადგან პროცესი გაართულებდა და გახანგრძლივებდა.

ამასთან, ბორელმა დასძინა, რომ ეს ამ ეტაპზე არ



არის სამართლებრივი ტექსტი, არამედ მხოლოდ პოლიტიკური შეთანხმება, რომელიც ევროპული საბჭოს დონეზე ყველა წევრმა ქვეყანამ უნდა დაამტკიცოს.

ჯოზეფ ბორელმა ასევე აღნიშნა, რომ ივლისის შუარიცხვებიდან „მეზობელ ქვეყნებში რუსეთიდან სასაზღვრო კვებებზე მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა“, რაც „ამ ქვეყნებისთვის უსაფრთხოების რისკად იქცა“.

ჩვენ ვნახეთ ბერის რუსი, რომლებიც დასასვენებლად და საშობიგოდ მოგზაურობდნენ [ევროკავშირის ქვეყნებში], თითქმის უკრაინაში ომი არ მძვინვარებდა“, - დასძინა ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა.

აზიზან მზნაზიძე

